ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3215907

ნომერი: AR1495547

თარიღი : 14.04.2017

გაცემის თარიღი : 24.04.2017

გაცნობის თარიღი : 25.04.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 29 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა კალანდაძე პ/ნ 01005007496
- თბილისი ლ.პასტერის ქ. N 5

ნომენკლატურა :

- სპორტული დარბაზი/კომპლექსი
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სპორტული დარბაზი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დავითი კომახიძე
- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს "რეალ რეგისტრი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404395828

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს "შალვა"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 206033111
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შალვა კალანდაძე

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01005007496

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 960200
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 26.10.2013

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 14 აპრილის №AR1495547 განცხადება, რომლითაც ითხოვთ 2013 წლის 26 ოქტომბრის №960200 ბრძანებაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების განხორციელებას. სამსახურის მიერ გამოკვლეული და დადგენილი იქნა, რომ შეცვლილია სამშენებლო მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია და საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება, ამასთან საპროექტო ობიექტზე მშენებლობა ნაწარმოებია სამშენებლო დოკუმენტის დარღვევით. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის. ასევე მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 57-ე მუხლის მიხედვით, მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო ობიექტზე არ არის განხორციელებული ისეთი სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც ამ დადგენილების შესაბამისად საჭიროებენ მშენებლობის ახალ ნებართვას. სამშენებლო დოკუმენტის დარღვევის შემთხვევაში მშენებლობის ახალი ნებართვა გაიცემა დადგენილების 63-ე მუხლის შესაბამისად. ამასთან თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას, ან/და წარმოებულია უნებართვო მშენებლობა, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითრის წარდგენის შემდეგ, გარდა „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 251 მუხლის, ამ დადგენილების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი 2017 წლის 14 აპრილის AR1495547 განცხადება. საჭიროა პირველ რიგში საკითხი დააყენოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელების თაობაზე, რითვისაც განაცხადი უნდა დაარეგისტრიროთ სამსახურის ელექტრონულ ვებ.გვერდზე (www.tas.ge) შემდეგი თანმიმდევრობით -> ელექტორნული განაცხადები -> მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები -> მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება. აღნიშნულის განხორციელების შემდგომ კი არქიტექტურული პროექტის კორექტირებასა და შესაბამისი ნებართვის გაცემაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.